ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 3-19/01183233154-17

"19" 02 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (საკ. კოდი №01.72.14.014.263) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე და სასაწყობე შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3076680 02.02.2017წ.

ინსპექციის სპეციალისტების მიერ აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-ი" ფასადზე: „ა-ე" მონაკვეთში შეცვლილია მოაჯირების ნახატი. „ა/1-ი" მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების ნახატი. დამატებულია აირგამწოვები. +0.00 ნიშნულზე, „ბ-გ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მოაჯირი. „გ/1-ი" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საჩრდილობელი. +3.20 ნიშნულზე, „ა-დ" მონაკვეთში შემცირებულია აივნის სიგანე.

„1/1-10" ფასადზე: „1/1-4/1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები და მინაბლოკის 2 ღიობი. +0.00 ნიშნულზე, „4-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კაპიტალური საყვავილე, ხოლო „6-7" მონაკვეთში შემცირებულია პანდუსის გაბარიტები. „7-8" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა.

„10-1/1" ფასადზე: „10-9" მონაკვეთში დამატებულია ფანჯარა და საჩრდილობელი, ხოლო პანდუსი კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის და შემცირებულია მისი სიგანე.

„ი-ა" ფასადზე: „ე-ა" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საჰაეროები, რომლებზეც აფარებულია ფარები და შეცვლილია ცოკოლის ფორმა.

ფასადებზე შეცვლილია ცოკოლის მოპირკეთების ფერი.

შენობაში დამატებულია რიგელები და ლითონის კონსტრუქციული დეტალები. „9-„10" მონაკვეთში შეცვლილია შიდა კიბი ფორმა და მდებარეობა. +3.20 ნიშნულზე, „დ-გ" მონაკვეთში შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და ბაქნის ფორმა. „2/1-3/1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სახურავზე ასასვლელი ლითონის შიდა კიბე. სახურავზე, „1/1-4/1"-„ა-დ" მონაკვეთში გაზრდილია „შუქფარანის" გაბარიტები და „1/1-10" ფასადის მხარეს, მინაბლოკის ნაცვლად მოწყობილია გამჭვირვალე მინა, ხოლო „ი-ა" ფასადის მხარეს ამოშენებულია მინაბლოკის ღიობი. გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე და დამატებულია ლითონის მოაჯირი. შემცირებულია „საქვაბე აგრეგატის" გაბარიტები და კედლების მოპირკეთების მასალა. სახურავზე დამატებით მოწყობილია ელ.დანადგარები და ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის საჩრდილობელი.

ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია ლითონის ღობე და ჭიშკრები, რომელთა ნაცილიც ცდება საკადასტრო საზღვარს.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 179-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ც" ქვეპუნქტის,

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ოქტინა“-ს, ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (საკ. კოდი №01.72.14.014.263) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე და სასაწყობე შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01183233154-17 19.11.2018წ. განცხადება.
№წ-19/01183233154-17 20.11.2018წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე